შპს იუჯი სკოლის ფინანსური მდგრადობის ანგარიში 2024-2025 სასწ. წელი

სკოლის ფინანსური დაგეგმა ხდება ყოველწლიურად, გასული სასწავლო წლების პროგნოზირების და დაგეგმის ხარჯზე. ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა პროგნოზირებადი ხარჯის თუ შემოსავლების გათვალისწინებით. მიმდინარე პროცესში კი საჭირო კორექირებების შეტანით, მისი არსებობის შემთხვაში.

სკოლის შემოსავლების ძირითად ნაწილს სწავლის საფასურიდან შემოსავლები წარმოადგენს, რომელიც საერთო შემოსავლის თითქმის 90% შეადგენს, ხოლო დანარჩენი ნაწილდება მოსწავლეებისთვის დამატებით შეთავაზებულ მომსახურებებზე, როგორიცაა ტრანსპორტის და ბუფეტის მომსახურება, რომელიც შეადგენს მთლიანი შემოსავლის 7%მდეა, ხოლო ვაუჩერულ დაფინანსებაზე მოდის 3%.

ხარჯვითი ნაწილი შემოსავლების თითქმის 98% შეადგენს, საიდანაც ყველაზე დიდი პროცენტი უჭირავს სახელფასო ნაწილს (თითქმის 60%),ხოლო დანარჩენი ხარჯები ასე ნაწილდება :

1. მოსწავლეებსი კვების ხარჯები -8.5%
2. ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მომსახურების ხარჯი -1.76%
3. სწავლის საფასურზე შეღავათები (თანამშრომელთა ბავშვები, ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი ბავშვი) -8.2%
4. სამეუნეო -1.1 %
5. საკანცელარიო - 1.12%
6. სხვა საგადასახადო ვალდებულებები - 0.81%
7. უსაფრთხოების ხარჯი - 1.21%
8. კემბრიჯის ხარჯი (აკრედიტირებული საერთაშორისო სკოლის სახელით სარგებლობის ხარჯი) -0.41%
9. იჯარის ხარჯი - 1.88%
10. რეკლამა, პიარი -0.05%

11. გაუთვალისწინებელი ხარჯები - 5.22% (ამ პუნქტში გათვლილია ხარჯების ხვედრითი ნაწილის საკმაოდ დიდი მოცულობა, ხელფასების, შეღავათების და კვების ხარჯების შემდეგ, რათა სკოლას ჰქონდეს რეზერვები გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის)
12. საინვესტიციო ნაწილზე კი მოდის მთლიანი ხარჯების 7.79%, საიდანაც:
    . ავტოპარკის განახლებაზე მოდის -6.38%
    . საბიბლიოთეკო ფონის განახლებაზე - 0.1%
    . კომპიუტერული ტექნიკის განახლებაზე - 0.31%
    . სხვა ძირითადი საშუალებების განახლებაზე და რემონტზე -1%

    ყოველწლიურად სკოლა არის მზარდი (მოსწავლეების შემოდინება მატულობს ყოველწლურად), რისი ასახვაც და გათვალისწინებაც ხდება ყოველწიურ ბიუჯეტში, ხარჯვით და შემოსავლის ნაწილში.
    სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ბიუჯეტის ანალიზით თვალსაჩინოა, რომ სკოლა ფინანსურად მდგრადია. ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლას აქვს უნარი შეუფერხებლად განახორციელოს დასახული მიზნები და ამოცანები.